ქვირა, 16 იანვარი, 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 3 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

შემდეგ ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა კრიტიკულ წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.

ბუჩქნარი და ნაკადული.

მსუსხარ თოვლს ქვეშ მომწყდეული,
კვნესს ბუჩქნარი, ვით ეული,

და თვალთაგან ცრემლები სდის
კვნესის „ღმერთო! ოხ, როდემდის

უნდა ვზიდო ტანჯვის ჯვარი
და ვაფრქვიოთ ცრემლთა ღვარი?!

— ნუ, ნუ კვნესი, ნუ ღვრი ცრემლებს,
თვარა სევდა მოგინელებს!—

შესძახის მას ნაკადული,
ყინულთ ხუნდში გახლართული.—

მე მომბაძე, ნუ იტეხ გულს:
მოვესწრებით კვლავ გაზაფხულს!"

ვ. ?რუხაძე.

ნანა ობლისა.

ჩუ, ნუ სტირი პაწაწინავ,
ნუ გაიკრთობ უდროთ ძილსა,
ობოლი ხარ... უპატრონო...
ვინ მოგხედავს ტანჯვის შვილსა!
შავ სიკვდილმა შენი დედა
სამარეში ჩაიტანა,
აწ მე გიმღერ მის მაგივრათ,—
ნანა შვილო, ნანი ნანა!

ჭამა შენი, ბნელ საკანში
გამოაღრჩვეს, შესაბრალად,
გადაუწვეს მთლად სახლ-კარი,—
შემდეგ დარჩი შე ტიალად.
და დღეს შენი დამღუპველი
შეგიბრალებს მცირედ განა?
არა... ისევ მე გიმღერებ,—
ნანა შვილო, ნანი ნანა!

როცა დედა უბედური
შენ კარ და კარ გატარებდა,
მაშინაც კი ის დუშმანი
დასცინოდა... ჰხარხარებდა.
მორჩა ტანჯვას... მშობლის გულსა
დღეს ვერ ჰბასრავს სევდის დანა...
აწ მგოსანი მოსთქვამს შენთვის,—
ნანა შვილო, ნანი ნანა!

ნ. ჩხიკვაძე.

ვარსკვლავს.

შენ ენთე ცაზე ჩემის ცხოვრების,
შენის ციმციმით მე ვიყავ მტკბარი,
შენი სიამე მეც მაამებდა,
შენის მოწყენით კი ვიყავ მკვდარი.

—

შენ მოსწყდი ცასა, მაგრამ არ ჩაქრი:
გულს ჩამეკარი, გაშალე ფრთები.
ამიერიდან შენ იქ იშუქებ
და ჩაუშრეტელ ცეცხლებრ ენთები...

—

შენ მოსწყდი ცასა, მაგრამ არ ჩაქრი:
ჩემს ტანჯულ გულში იღვივებ მარად,
მაგრამ მე მაინც ცხარე ცრემლები
ნეტა, რათ დამდის ნიადაგ ღვარად?!.

ნ. ზომლეთელი.

გაუთავებელი ვიზიტები.

როგორც მოგახსენეთ „სალამურის“ რედაქტორის ციმა შეხვედრამ და დამუქრებამ ისე ცუდათ იმოქმედა ჩემზე, რომ ორი დღე გარეთ არ გამოვსულვარ. გადაწყვეტილი მქონდა არც არავისთან მივსულიყავი და ერთი სიტყვაც არ დამეწერა ბრაზიან რედაქტორის ჟურნალში. არა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, იმის მაგიერ, რომ სახლში შევეპატიჟე, გამმასპინძლებოდა და მადლობა ეთქვა მის უხეირო ჟურნალში თანამშრომლობისათვის, ქორივით მომვარდა კარებთან და დამიწყო ყვირილი (ნეტა მისი ბიძაშვილი ხომ არ ვეგონე?). ეგ კიდევ რა? კეტს წამოუსვა ხელი და კინაღამ თავში მთხლიშა. (სიმართლე რომ სთქვას კაცმა ჩვენი ჟურნალ-გაზეთებიდან მეტ სასყიდელს ვერას მიიღებს დღეს თანამშრომელი). გადაწყვეტილი მქონდა ვიზიტებისა და წერილებისთვისაც თავი დამენებებია. მოვკეცე ჩემი ჰაეროპლანი და კუთხეში მივაყუდე. ყველაზე მეტათ გულს ის მითუთქავდა, რომ ჩემი ფრთოსანი ჰაერში არ ნავარდობდა. ცრემლებს ვეღარ ვიმაგრებდი, როცა თვალს მოვკრავდი მის ჩამოყრილ ფრთებს.

ცოცხალ ადამიანს მხოლოდ მეტეხის ციხეში შეუძლია გასძლოს ისე, რომ რამდენიმე დღე, თვე და წელიწადებიც კი გარეთ არ გამოვიდეს. სულ სხვა საქმეა, როცა შენს საკუთარ ოთახში ხარ, ოთახს კარები აქვს, შეგიძლია გახვიდე ქუჩაში, და საითაც გინდა იქით წახვიდე. ორი დღის შემდეგ ვეღარ გავუძელ ტყვეობას და გავედი ქუჩაში. ის იყო სალდათს ბაზარს გავცდი, რომ უცბათ ვიღაც კაცი მეცა, გადამეხვია და ისე მაგრათ მოჭირა ხელები და დამიწყო კოცნა, რომ თან შიშით და თან ტკივილების გამო კინაღამ დავიყვირე. შევხედე—ჩემი რედაქტორი, მერე ისეთი გადაბრუჟული იყო, რომ თქვენი მოწონებული. გადამეხვია, ბატონო და დაიწყო ბოდიშები, მარა რა ბოდიშები, მაპატიე, ბატონო ბურნუთო, იმ დღეს ცოტათი გაწყენინე (მისმა მზემ ცოტათი მაწყენინა) დაივიწყე ყველაფერი და შენს მადლიან კალამს ნუ მოაკლებ ჩემ ჟურნალსო. იმდენი იბოდიშა, რომ სწორე გითხრათ გული ამიჩვილდა. უზომო სიხარულმა შემიპყრო, ისე მომინდა ჰაერში განავარდება, რომ სიტყვის თქმაც ვეღარ მოვასწარ, გავქანდი სახლისაკენ, გამოვიტანე ჩემი ფრთოსანი, ერთი ძალზე ავარახრახე და თავგამეტებით შევსრიალდი ცის სივრცეში, ერთი ირფვლივ შემოუარე ქალაქს და გზა „ახალშენი“-სკენ დავიჭირე. გულით მწყუროდა მენახა „ახალშენი“-ს თავადი სევასტი გაჩეჩილაძე. მინდოდა გამომეკითხა მისი „საგაჩეჩილაძეოს“ ამბავ-ხბარი და ზოგიერთებისთვის ვიზიტი გამეკეთებია. ის იყო ფიქრის გორას გავსცდი, რომ სათავად-აზნაურო გემნაზიიდან საშინელი ყვირილი შემომესმა. ისეთი ხმაურობა ისმოდა, რომ მეგონა უთუოთ მოსწავლეები დამთვრალან და რაღაც საზარელი ამბავი მომხდარა მეთქი. გულმა აღარ მომითმინა და დავეშვი ძირს. შევდგი თუ არა კარებში ფეხი, თქვენს მტერს მე რომ საზარელი სურათი წარმომიდგა თვალ წინ. საკლასო ოთახებში მტვრის ბუღი იდგა, მოსწავლეებს სკამები ერთ კუთხეში მიელაგებიათ და ჭიდაობა გაემართათ, ზოგი ხტოდა, ზოგი მღეროდა, ზოგი ყვიროდა. მოხუცი მოსამსახურე თოკით მაგრათ შეეკრათ და კუთხეში დაეგდოთ.

— რა ამბავია მოხუცო? რა მოხდა? ჩავსძახე მოხუცს—ნუ თუ ყველა შეგირდები ასე საშინლათ დამთვრალან?

— არა, ბატონო, შეკირდები კი არ დამთვრალან, მსწავლებლები დაგვეკარგა, ერთიც ვეღარ ვნახეთ დღეს—საცოდავათ ამოიკნავლა მოხუცმა.

— როგორ თუ დაგეკარგათ? რას ამბობ მოხუცო? გავიკვირვე მე.

— დიახ დაგვეკარგა, ბატონო, გუშინ საღამოზე უნახავთ სათავად აზნაურო ბალზე მიმავალნი იქიდან დაბრუნებული კი არავის უნახავს. გავგზავნეთ ყველგან შიკრიკები, მაგრამ ამაოთ

ამ სიტყვებმა გამაოცა, ვერ წარმომედგინა როგორ

დაიკარგა ამოდენა ქალაქში გიმნაზიის ყველა მასწავლებლები. როგორც იქნა მოხუცი გავანთავისუფლე, ვერაფერი სანუგეშო ვუთხარი, გამოვედი გარეთ და გავსწიე ახალშენისაკენ. რამდენიმე საჟენი გავიარე, რომ თვალი მოვჰკარ საგაჩეჩილაძეოს თავადს, ის ამაყათ ჯორზე იჯდა და ღიღინით ქალაქისაკენ მოემგზავრებოდა. შეწყინა, მაგრამ რას ვიზამდი, შემოვატრიალე ჩემი ფრთოსანი და

„ცხოვრება და ხელოვნებას“ რედექციის კარებთან ჩამოვფრინდი, რომ შემეტყობინებია მასწავლებლების დაკარგვის ამბავი. შევაღე რედაქციის კარები. ოთახის შუა გაეშალათ დიდი სუფრა და გარს შემოსხდომოდა რამდენიმე კაცი და თავ ჩაღუნულნი სწერდნენ. სუფრის თავში ფილიპე იჯდა. ყველაზე უწინ იმან დამინახა და სათვალეებ ქვეშ გამომიტვრიტა. მივუახლოვდი, ჯიბიდან წშინდა ცხვირსახოცი ამოვიღე, მინდოდა ცხვირი შომეხოცა, ხელსახოცი ახალგარეცხილი და კოხტათ დაკეცილი იყო. მოჰკრა თვალი თუ არა ფილიპემ, უცბათ მომვარდა და მტაცა ხელი. აბა როგორ დავანებებ ლი და შეგვექნა ჩხუბი.

— უთუოთ პუბლიცისტური წერილი იქნება, ეს მე მექვემდებარება, მოიტათ ყვიროდა ფილიპე.

გაოცებული შევყურებდი და ცხვირსახოცს ხელს არ ვუშვებდი.

ხმაურობაზე ყველამ თავები წამოჰყვეს.

— არა, მე ვიცი, ბატონი ბურნუთი, სიტყვა კაზმულ მწერლობის ბურჯია, უთუოთ მაგას რაიმე მოთხრობა ექნება—წამოიძახა შიომ, გადმოხტა და ვეცა ხელში.

— აბა რას შვრებით, მე კარგათ ვიცი, რომ ბატონი ბურნუთი, ნამდვილი პოეტია, მაგის ლექსები როგელ გაზეთში და ჟურნალში გინდა არ იბეჭდებოდეს, უთუოთ ლექს მოიტანდა, მწერლობის ეს დარგი კი მე მაბარია, გთხოვთ ხელი გაუშვათ— წარმოსთქვა კ. მაყაშვილმა და ისიც ჩაგვებღაუჭა.

— მე დიდი ხანია ვიცნობ, ბატონ ბურნუთს, მაგის ისტორიული გამოკვლევანი უძვირფასესი განძია საქართველოსთვის, ეგ წერილი უთუოთ ისტორიული იქნება და მაგაში კი ვერვინ ჩამეცილება —მოისმა ს. კაკაბაძის ხმა, გადმოხტა და ისიც ჩამოგვერია.

— კრიტიკა არის, კრიტიკა—ყვიროდა იპ. ვართაგავა.

— დრამაა, დრამა, მაგის დრამები ქვებსაც კი აცრემლებს, ყვიროდა ვალიკო.

ბოლოს ვველანი შემომეხვივნენ და დაუწყეს გლეჯა ჩემ ცხვირსახოცს. ისე გავშტერდი, რომ ვერ მოვახერხე რამე მეთქვა. ბოლოს როგორც იქნა ძლივს გავაგებინე.

— ბატონებო! ნუ დამიხევთ, ეს ჩემი ცხვირსახოცია.

— სხვირსახოცი?!! ერთბაშათ გაოცებით წამოიძახეს ყველამ და მომშორდნენ. ყველანი თავთავიანთ ადგილზე დასხდნენ და თითქო აქ არაფერიაო განაგრძეს მუშაობა.

— ბატონებო, ქართულ გიმნაზიის მასწავლებლები დაკარგულან, მოვედი, რომ შეგატყობინოთ— წარმოვსთქვი მე.

ეს ამბავი ყველას მეხივით დაეცა თავზე. ზეზე წამოცვივდნენ, ქუდებს ხელი დაავლეს და გაიქცენ. დავრჩი მარტოთ რედაქციაში. აბა რა შავი ქვა მინდოდა იქ. გამოვარდი გარეთ და პირდაპირ სადგურისაკენ გავსწიე, რომ მოვშორებოდი ქალაქს და პროვინციისკენ გავმგზავრებულიყავ. დაუახლოვდი თუ არა სადგურს, გულმა აღარ მომითმინა და

რკინის გზის სახელოსნოს წინ ჩამოვეშვი. შევაღე სახელოსნოს კარები და ისევ უკან გამობრუნებას ვაპირებდი, რომ უცბათ ნაცნობი ხმა მომესმა.

— მობრძანდი, ბ ნო ბურნუთო, მობრძანდი.

გაოცებული ადგილიდან არ ვიძროდი, ვეღარ წარმოვიდგინე თუ იქ სახელოსნო იყო, გამხდარ-გამხდარი მუშების, მაგიერ ვიღაც ჩასუქებული, ღიპიანი კაცები დადიოდენ, ტანთ ჯავშანი ეცვათ, თავზე დიდრონი ქილები ჩამოეფხატათ, ყურებში ბამბის ქულა გაეკეთებიათ. მხოლოთ იმით მივხვდი, ეს ხალხი მუშები იყვნენ, რომ მუშაობდენ.

— რას ნიშნავს ეს ცოხნიაშვილო, შეეკითხე ჩემს ნაცნობს, ან ასე რამ დაგასუქათ ყველანი, ან ეს უცნაური ტანისამოსი რა არის?

ჩემ ნაცნობს ჩაეცინა.

— რათ გაგიკვირდა, ბატონო ბურნუთო, რომ ერთხელ ჩვენც გავსუქდით, ეს იმის ბრალია, რომ მეტს ვიღებთ ეხლა, მეტს ვმუშაობთ და მეტს ვიღებთ, ეს ტანისამოსი კი იმიტომ შევიკერეთ, რომ გარეგან გავლენისგან დავიფაროთ თავი—ღიმილით მიპასუხა ჩემმა ნაცნობმა.

ამ პასუხმა სავსებით დამაკმაყოფილა, გავიგე ყველაფერი. გავიარ-გამოვიარე აქეთ იქით. აქა იქ ზოგიერთი მუშები კუთხეში მიმჯდარიყვნენ და თითებზე ითვლიდენ.

— აკორდით მუშაობისგან მივიღე, ორმოცი მანეთი, გოგიას სამუშაო წავართვი და იქიდან მივიღე ოცდა ათი მანეთი, საჩუქარი მუყაითად მუ-

შაობისთვის ოცდა ხუთი მანეთი, სულ ზედ მეტი ცხრა თუმან ნახევარი.

— პროლეტარებო .... გავაღე პირი, რომ აქეთ იქიდან მომცვინდნენ, პირზე ხელი მომიჭირეს და კინწის კვრით გარეთ გამომაგდეს. უნდა მოგახსენოთ ამ სიტყვის ხსენებამ დიდი თავზარი დასცა ყველას, ერთი ალიაქოთი ატყდა. გულები კინაღამ დაუსქდათ. რამდენიმე კაცმა კარგა მანნძილზე გამომაცილა, რომ უკან აღარ დავბრუნებულიყავ. რაკი გზაც იქით მქონდა ვიზიტი გავუკეთე

ხაქონლის სადგურის მუშებს. შუა მოედანზე დიდი სუფრა გაეშალათ, ყველანი გარს შემოსხდომოდენ და იყო ერთი ქეიფი. რა გინდა სულო და გულო იქ რომ არ ეწყო. ცალ მუხლზე წამოჩოქილი ტოლუმბაში საოცარ „რეჩს“ ამბობდა. ყველანი სულ განაბული უსმენდენ. „რეჩი“ უმთავრესათ შეეხებოდა არტელის აღორძინებას.

აბა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა რიგათ გამიკვირდებოდა ამ სანახაობის დანახვა.

დამინახეს თუ არა ხელათ მომცვინდენ და მიმიპატიჟეს. მე სასტიკი უარი განვაცხადე, რადგან მეჩქარებოდა, მხოლოდ ველარ მოვითმინე და ვიკითხე:

— ვისი ქორწილია, ძმებო და მეგობრებო?.

ამ ჩემ კითხვაზე ასტყდა ხარხარი.

— რა ქორწილი? რის ქორწილი? ვმუშაობთ, ვშრომობთო... მომცეს პასუხათ აქეთ-იქიდან.

— იშრომეთ, იშოლვაწეთ, მეთქი და გავსწიე სადგურისაკენ. მინდოდა კონდუქტორების ბრიგადა მენახა. გადაწყვეტილი მქონდა მცხეთამდე რკინის გზით წავსულიყავ. საჭირო იყო კონდუქტორებთან მოლაპარაკება უბილეთოთ გამგზავრებაზე.

გავედი თუ არა ბაქანზე წინ შემეჩეხა ერთი ნაცნობი. ისე ძალზე გადაბრუჟული იყო, რომ აღარ მომეშვა, გინდა თუ არა დღეს უთუოდ უნდა დარჩე და დრო ერთათ გავატაროთო. მეტი რა გზა მქონდა, სიმართლე ვსთქვა მეც მესიამოვნა მისი ნახვა, კარგა ხანია არ მენახა. მივაბარე სადგურზე ჩემი ფრთოსანი და მეგობართან ერთათ გამოვბრუნდი, იმ გადაწყვეტილებით, რომ ხვალ დილითვე აუცილებლათ ვნახო კონდუქტორები და პროვინციისკენ გავსწიო.

ბურნუთი.

ღმერთების ბრძოლა.

(ჰ ო ე მ ა)

II

გარბოდნენ წელნი...
მუნ, სადაც თხემი უცოდველი სისხლით ჩაბანეს,
სდუმდა ყოველი... გაჰქელილი მიდამო იგი,
მოგაგონებდათ ძილის წალკოტს, სიზმართ სავანეს.
უგულისნებოთ მონაქროლი უდაბნოს ქარი
დრო-გამოშვებით, მივიწყებულს თუ გადაჰფრენდა..
საქვეყნო რწმენა დაგმობილი, სიცოცხლე მკვდარი...
სიცოცხლის სიმი აღარ სცემდა, გულს არ ალხენდა.
შავსა ტარტაროზს ჩუმი სევდა, შავი სიკვდილი,
იმის წიაღზე ჯოჯოხეთით ამოეზიდა,
ცოფს ჰყრიდა პირით, კაცთ სამუსრად ბასრ ცელ-გაწვდილი,
ქომაგათ ჰყავდა რისხვის ღმერთი თვით ნემეზიდა.
სიმწუხრის შუქი გადაჰკვროდა მშვენიერ ტატნობს,
მკვდარი ოცნება ყრუ სივრცეზე ესვენებოდა,
მზე დაქცეული ვერ აკრთობდა სხივებსა გამთბობს,
მთვარე გრძნეული იფერფლოდა, ნელ-ნელ დნებოდა.
ხშირად ჰხდებოდა: ავ-სულთ გროვა შებინდებისას,
მაღალ სერზედა გადმომდგარი, ბარს დასცქეროდა,

სიმებს უწყობდა კუპრის ჩანგსა ჯოჯოხეთისას,
გულ-მხიარული აღტაცებით ზედ დამღეროდა:

ავ-სულთ ხორო.

ჯოჯოხეთით მოგვაქვს ცეცხლი,
ალში იწვის მთა და ბარი,
კუპრის ორმო სულ გუზგუზებს,
ირგვლივ ისმის გლოვა-ზარი.
ცა და მიწა დავიმონეთ,
შუბი ვჭარით მნათობ მზესა,
შავ წყვდიადის შავ ჯურღმულში
სიყვარული ჩაილესა.

უძლევია ავ-სულთ მოდგმა,
ჩვენ.ურაზმი არ შედრკება,
ქვრივ-ობოლთა გვატკბობს მოთქმა,
მსხვერპლი... მსხვერპლი გვენატრება!
ზეცის არსნო! შიშით ძრწოდეთ,
მოიხარეთ ჩვენს წინ ქედი,
თორემ უფსკრულს ჩაგანარცხებთ,—
განრისხდება თქვენზე ბედი.

შორს, შორს სხივი სინათლისა,
მკვდრეთით აღსდგა ჯოჯოხეთი,
შავ წყვდიადში ჩაიჩეხა
სიყვარულის ფლიდი ღმერთი.
მეგობრებო! მაშ სიმღერა,
ნუღარ მოვჭკლავთ უქმად დროსა,
ვაწყევლინოთ ბედის წერა
სიმართლის მცველ საზიზღ ბრბოსა!..

ოდეს შესწყვეტდენ ამ სიმღერას, ასტეხდენ ყიჟინს,
მთა-ბარი მყისვე შიშისაგან ცახცახს იწყებდა,
უგულო ზეცა არ ისმენდა დაჩაგრულთ ქვითინს,
თავისუფლების სდუმდა ღმერთა, ხმას არ იღებდა.
სიყვარულისა ღმერთი მკერდზე მისვენებოდა,
ორთავე ერთად მისცემოდენ ტკბილ ოცნებასა,
დრო მომავალი თვალ თვალთ წინ ედგათ, ეხატებოდათ,
ირგვლივ სხივებათ გააკრთობდენ დიად მცნებასა.
ხანაც, თუ ღმერთი სიყვარულის დანაღვლდებოდა,
თავის აწმყოსა საშიშარად წარმოიდგენდა,
თავისუფლების ღმერთას ხელი ჩანგსა წვდებოდა,
სიმთ შეაკრთობდა, ზედ დაჰმღერდა და მოალხენდა.

თავისუფლების ღმერთა:

ცის წიაღით გადმოვფრინდით სრიალით,
აღზგნებულნი, დაჩაგრულთა ტრფიალით,
სახიფათო გზა ცოტათი გვეძნელა,
აღმაფრენის ცეცხლი გულში გვენელა,
მაგრამ ტანჯვა ვიცით გარდმავალია,
შორს გვიყივის ტკბილი მომავალია!

—

დე ავ-სული შემაძრწენად ჰყიოდეს,
ჩვენ, ჩაგრულთა წყლული წყლულად გვტკიოდეს,
დეე ტანჯვა, ხსნის იმედმა დალიოს,
გულმა, სულის მწუხარება დალიოს;
ტანჯვაში ჰკრთის სხივი შვების მფენია,
ვინეტაროთ,—მომავალი ჩვენია!

—

როს არწვვი ზეცად აიწურება,
თითქოს ჰშიშობს, ან სოფელს ემდურება,
ამ დროს იგი მაღლით მსხვერპლსა დაეძებს,
როს შეამჩნევს,—კვლავ მიწისკენ დასცემს ფრთებს.
ჩვენც ორთავე არწივი ვართ დროთა სვლის,
ჩვენს ხელშია,—ბედი ჩვენის მომავლის!..

ამ სიმღერითა, სიყვარულის ჰაბუკი ღმერთი
იხიბლებოდა... ლაღ ოცნებით შორს, შორს მიჰფრენდა,
გრძნეული გრძნობით, ცის და ქვეყნის აწ შემაერთი,
ტანჯულ გარემოს სინათლისა შუქსა მიჰფენდა.
გულის ხვაშიადს გაანდობდა ნიავის ჩურჩულს,
მოღლილ სულისა მელოდიას თან წაატანდა,
გაბედითებულ აღმა-ფრენას, სწრაფვა-სიხარულს
წამს ივიწყებდა...ილეოდა შვების ჰანგადა.
სოფლით დევნილი, მინდობილი ბუნების წიაღს,
ბუნების მკერდზე ნეტარებით განისვენებდა,
მაგრამ კვლავ სევდა-კაეშანი უწყებდა ციალს,
ოდეს აწმყოსა, მწარე აწმყოს გაიხსენებდა.
ოჰ, ამ დროს იგი განიცდიდა სულის ობლობას,
სამყაროს კიდეს გასაქროდა გაოგნებული,
ირგვლივ ჰხედავდა გამეფებულს: შურსა და მტრობას,—
და კვლავ ხალხისკენ მოუსვენრად ელტვოდა სული.
შორს-კი, სოფელი სოდომივით დაბინდულიყო,
ჰგავდა სიზმარეთს, უსიცოცხლო ძილის ქვეყანას,
შავი წყვდიადი, მინდორ-ველად მოფენილიყო,
სიკვდილის სული, საიდუმლოს უმღერდა ნანას.
ოდეს მნათობი, ღრუბელთ შორის სხივთ გააკრთობდა,
გულს გაუთბობდა გაცივებულს, ტანჯულ მხარესა,
ბილწი დემონი, წამსვე სასტიკ ბნელს მოუხმობდა,
დაამსგავსებდა მთელს გარემოს შავს სამარესა.
ადამის მოდგმა, სიბნელეში ჩაავდებოდა,
მიწისა ფერი დასდებოდათ კაცთა აჩრდილებს,
ყველას გულიდან, უსასოო კვნესა ჰხდებოდა,
ცხოვრების აზრი დაჰკარგოდათ კისერ წაწვდილებს.
საბრალო დედათ ძუძუებში რძე გაშრობოდათ,
საკმაო საზრდოთ ვერ აწვდიდენ თვისთა პატარათ,
სიცოცხლის ნაცვლად სულ სიკვდილი ელანდებოდათ,
მათი ქვითინი გაისმოდა გლოვისა ზარათ.
ცხოვრების მიზნად გაეხათათ— სევდის სიმღერა,
ლექსებს უთხზავდა საამისოს ვინმე მგოსანი,
ხალხის გულისა ძგერა იყო მის გულის ძგერა,
მათთვის სიმღესა აღნებოდა შუბლ-სხივოსანი.

ვინმე მგოსანი:

ცხოვრების ზღვას უხმოდ სძინავს,
მდუმარებენ ირგვლივ მთანი,
ავ-სულთ რაზმი ზეცათ ჰფრინავს,
ზეცათ ჰფრინავს კაეშანი.
სიცოცხლის მზე ჩაიფერფლა,
ფიქრმა მოჰკლა აღმა ფრენა,
ნუგეშია აწ—ვაგლახი,
ნუგეშია—ცრემლთა დენა!
დახშულია ლტოლვის გზები,
კაცთ მიზანი,—დარბეული,
შვების სხივებს ვეღარ გვსტყორცნის
სიყვარული დაქცეული.
მოკვდა... სასტიკ უკუნეთში
აზრი უქმად ნიავდება,
ბრძოლის ხმები ჩაიძირა,
სათნოებას სული ჰხდება!..
თავისუფლების ღმერთა გრძნობით ისმენდა ამას,
ისმენდა კაცთა უბედობას, იმათ გასაჭირს,
მაგრამ უდროოდ გულ-ზვიადი არ შფოთდებოდა,
თავს იკავებდა ვით შეშვენდა სულ-გრძელს, დიად გმირს.
თანაც თავისთვის, იდუმალად ემზადებოდა,
დღე განკითხვისა, დღე ომისა ახლოვდებოდა,
შორს, ცის წიაღზე, ჯოჯოხეთის წყვდიადთა შორის,
საგანთიადო რაღაც სხივი, ნელად ჰკრთებოდა.

ნ. ჩხეიკვაძე.

(შემდეგი იქნება)

პატარა ფელეტონი

თავები.

ჰოი განგებავ! ჰაეროპლანი
(ჩვენს დროში ბევრთა ტრფობის საგანი)
სულ ულოდნელად გარდმომევლინა,
ფრთებზე შემისვა და... გამაფრინა.
მივქრი და მივქრი, განქარდა ფიქრი,
ჰაერზე ქარსთან მომიხდა ომი,
გავსცდი სუფსასა, გავსცდი ქობულეთს,
აჰა, გამოჩნდა კიდეც ბათომი.
დავეშვი ნელა, (სუნთქვა მენელა)
გულსა მოეშვა, ამოიქშინა,
ვით კებურიამ, დიდუბის დოღზე,—
მიწას დავაწყდი უპრავის წინა.
მომაწყდა ხალხი, (არ მეთქმის ძრახი)
„ვაშას“ მეძახდა გარს მონახოვი,
თანაც ფხიანად, თავაზიანად
წინ მომეგება ანდრონიკოვი.
მითხრა სალამი, ვითა ქათამი,
პატივის ნიშნად ამიფხაკურდა,
მომართა ენა, რეზო იწყეს დენა,—
ვერ კი მივუხდი, ჩემგან რა სურდა.
მაგრამ დაბოლოს შეველთ დარბაზში,
გამაცნო რაც რომ ელაგა თავში:
— ცუდი დღე მადგას, ბატონო ჩემო,
„პოლ-კაპეიკის“ ვერ ვნახე გემო.
კრული ვირთხები გვყავს განახშირი,
მუსრსა გაგვავლებს აწ შავი ჭირი.
წახდა ეგ ჩემი საბრალო თავი,
ისემც წაგიხდეს მტერი და ავი.
მეწყინა ესა, აღმომხვდა კვნესა,
ტელეფონითა ვიხმობ ბლიკვაძეს,

გვიშველე სტვირი, გვაშორე ჭირი,
თორემ ქალაქი ლამის გაბახდეს.
ბლიკვაძე პასუხს იძლევა მწყრალი:
— „სიცხე აქვს, ცივი მიასხით წყალი,
ცხვირში უფუტეთ, ნორიოს ნეხვი,
ჯიბით აჭამეთ ქანქარის ძეხვი.
თანაც შესწირეთ მსხვერპლად ეურული,
უპრავის დამაც ზედ მიაყოლეთ,
და პირობას ვდებ განიკურნება,
მოეცლინება კარგი გუნება!
შევუდექ საქმეს, იმ ერთსა ღამეს
ვაი-ვაგლახი დამატყდა თავსა,
მაგრამ ქანქარის ძეხვი ვერ ვპოვე,
ცარიელ იყო ქალაქის კასა!

ძლიერი გამარჯვებულია.

და რა უბრალოდ დავყე მუნ ხანი,
ისევ მოვმართე ჰაერო-პლანი
ავი დარია... ზღვა ჭქუხს და ჭქოთსა,
ვუახლოვდები თან და თან ფოთსა.

—

ჰა, დავაყარე მაღლით ძირს სიო,—
ამ დროს ქუჩებზე არ ჩნდა არ ვინა,
ქალსა და კაცსა, ძაღლებს და ვირთხებს
ბინა ეჩინათ უპრავას შინა.
მუნით მომესმა ნელი ღიღინი,
გულში ვიფიქრე: ლხინია, ლხინი!
მაგრამ ეგ ეჭვი მე გამეწბილა,—
აი საქმე თუ რაში ყოფილა:
ამას წინაზე, მსუნაგ ვირთხებზე
ნიკომ რომ აღძრა ცუდ-საჩივარი,
ბაქოს, ბათომის, თფილის-ფოთისა,
გაბრაზებულან ვირთხათა ჯარი.
და უფრენიათ დეპუტაცია,
გაიგონ ნიკო თუ რა კაცია,
რომ აგრე ურცხვათ და უტიფრათა
ომსა უცხადებს მათ ურიცხვ სპათა.
და ჰა კრებაა... თავ-მჯდომარეობს
მათ უხუცესი ვირთხა ჭაღარა,
ნიკო იონა, კოწო ბატონი,
ამყოლნიც, ყურსა უგდებენ წყნარა.
წარმოსდგა ისა და ბრძანა მყისა:
— ეს რა ბრალდება გინებებიათ,
მთელი ქალაქის ავლა-დიდება
ერთ-მეორისთვის გიბოძებიათ,
საწყალი ხალხი ძვალზე დაგიხრავთ,
ამოგიხდიათ პირიდან სული,
და უტიფარნო ბრალსა გვდებთ ჩვენა,
როცა თვითონ ხართ პირ-შემურული?

მეორე ვირთხა:

— ,,სიტყვა ჩემია!

(თავ-მჯდომარე ნებას აძლევს: ვირთაგვა ზედ სკამზე დადგება, კუდს იონას წინ ჩამოდებს, წელში გასწორდება და დაიწყებს).

— ,,რა საჭიროა ბევრი კამათი,
დროა გადაწყდეს საქმე ამათი,
რეზოლუცია გამოვიტანოთ:
ებოძოს ყველას როზგი ათ-ათი!
არც ერთ ჩვენგანსა მათ კასის ახლო
თითქმის აღარც კი გაგვიარია,
მაგ უტიფართ კი ქვეყნის წინაშე
სრულად მოჯაყეს ჩვენი გვარია.

მესამე ვირთხა:

ამა ბრალდებამ ჩვენ გაგვარეტა,
ყოველ მხარეში დაგვიწყეს ეღეტა.
საბძლებ-ბეღლებში არ გაგვატარეს,
და ბრალი მაინც გვიძღოდეს ნეტა!
არა!.. დროა რომ ვიძიოთ შური!...

მეოთხე ვირთხა:

— ,,აი, რა გითხრათ, დამიგდეთ ყური:
აქ გარეშენიც ბევრნი არიან,
და თუ იმათიც მოგვცეს დასტური,
ყველა ბრალ-მდებელთ გავუპრათ კუპი,
შენ კისერ-ჭრელა, ჩვენო ,,დოხტურო'',
აპერაციას უნდა უყურო!
თუ აღმოუჩნდათ ოქროს ნამცეცი,
მათ მივაყენოთ ტანჯვა ას კეცი.

ვირთხათა კრება:

თანხმა ვართ ყველა, აგრე მოვიქცეთ!

(ნიკოლაძე, იონა და სხვები ერთმანეთს ჩუმათ)

— „ეჰ, საქმე წახდა, დროა გავიქცეთ"!
და როს ვირთხებმა იმარჯვეს დანა,
ფეხზე წამოდგა მათი „დოხტური",
ამ დროს ერთბაშად მისცვინდნენ კარებს,
ასტყდა დარბაზში აურ-ზაური.
წინ ნიკოლაძე, უკან ყელ ჭრელა
აგერ იონამ იწყო ბრახუნი,
გაცხარდა ომი, ცემა და ტყეპა,
ისმის საზარი თაგვთა წრუწუნი.
მე თავს უშველე... ქუთაისისკენ
შეშინებულმა უცბად პირი ვქენ,
მსურდა მენახა იმათი თავი,
სამეცნიერო ნაგვის მქექავი.
აი, ის პირი ჩემო მკითხველო,
მარილაძემ რომ შეხადა ტყავი!
გავლიე კიდეც ჰაერათ გზანი,—
ქუთაისში მყავს ჰაერო პლანი.

დემონი.



ახალი ამბები

(კვირიდან კვირამდე)

ი. ს. ჯაბადარის არ დამტკიცება. ამას წინათ თფილისის ქალაქის გამგეობის წევრათ არჩეული ი. ს. ჯაბადარი თფილისის გუბერნატორმა არ დამტკიცა ამ თანამდებობაზე.

—

შავი ჭირი ბათუმში.— საშინელმა სენმა კვლავ იჩინა თავი ბათუმში. ამ დღეებში იქ ავათ გახდა ორი კაცი. ერთი მათგანი არდაგანის პოლკის ჯარის კაცი. ავადმყოფები ქალაქის, გადამდებ სენით ავადმყოფთა საავადმყოფოში წაიყვანეს.

—

გაზეთი „თემი“—10 იანვარს გამოვიდა ორშაბათის გაზეთის „თემის“-ს პირველი ნომერი. როგორც მოწანავე წერილიდან სჩანს გაზეთს ბევრი კეთილი განზრახვა აქვს. თუ გაზეთის მრწამსი გულწრფელი აღსარებაა, ვეტვობთ საორშაბათო გაზეთმა შესძლოს ასეთი ფართო და „უპარტიო“ პროგრამის ასრულება. დავუცადოთ შემდეგ ნომრებს. ჯერ კი ვუსურვებთ გამარჯვებას.

—

ორმოცი მუშის დათხოვა.—ეს რამდენიმე წელიწადია თფილისის ტრამვაის ახალ-ახალი დირექტორები ეელინება. ისეთი დირექტორი ჯერ არ მოსულა, რომ პირველი ნაბიჯი მუშების წინააღმდეგ არ გადაედგა. ეხლაც ახალმა დირექციამ ჯერ ჯერობით ორმოცი მუშა დაითხოვა.

—

დიდი თოვლი ქუთაისში. როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ იქ დიდი თოვლი მოსულა. 5 იანვრიდან სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ სთოვდა. 7 და 8 იანვარს მოსწავლეები ვეღარ მისულან სასწავლებელში. მოძრაობა სრულიად შესწყდა თურმე ქუჩებში. ბოკა წყალი სამი აბაზი გახადეს მეთოლუხეებმა. ვაჭრებმაც დრო იშოვნეს და სანოვაგეს აუწიეს.

საყურადღებო ამბები

სოციალისტების გასამართლება იაპონიაში. ქ. ტოკიოში დასრულდა 26 სოციალისტის საქმის გარჩევა. მათ აბრალებდენ იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებას.

ბრალდებულთაგან 4—სოფლის მეურნეა, 3—მღვდელი, 2—ჟურნალისტი, 1—ექიმი, 6—მუშა. წლოვანობით უმრავლესობა 30 წლისაზე მეტის არიან, ზოგი 50-55 წლისაც კი არის. მათ შორის ერთი ქალია კანო სუგა, ცნობილი ჟურნალისტკა.

საქმის გარჩევა 20 დღეს გაგრძელდა. სასამართლოს დარბაზში გარეშეთაგან არავინ არ შეუშვეს ყველაფერი დიდის საიდუმლოებით იყო მოცული. მოსამართლეებმა მუქარის წერილი მიიღეს სოციალისტებიდან.

როგორც იაპონიის გაზეთები აღნიშნავენ იაპონიის ცხოვრებაში ეს პირველი მაგალითია შეთქმულობის.

სოციალისტურ პარტიის დამაარსებელი და შეთქმულობის მეთაური ყოფილა მწერალი კოტოკი, რომელმაც სასტიკათ გაილაშქრა რუსეთ იაპონიის ომის დროს, ომის წინააღმდეგ. ომის გათავების შემდეგ კოტოკი გაემგზავრა სან-ფრანცისკოში, სადაც გაეცნო ამერიკელ სოციალისტებს და მათი მოძღვრების თაყვანისმცემელი შეიქნა. ამერიკიდან კოტოკი დაბრუნდა სამშობლოში, რომ შეედგინა სოციალისტური პარტია. მან გადათარგმნა იაპონურ ენაზე მსხვილი სოციალისტური ნაწარმოები და მათ შორის კრაპოტკინი.

ბოლოს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც 24-ს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

—

კონტრ-რევოლიუცია პორტუგალიაში. პორტუგალიის მეფის და მისი მემკვიდრის ტრაგიკულად სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა დონ მანუელი, დონ კარლოსის მეორე შვილი. მემკვიდრეთ გამოცხადებულ იქმნა დონ მანუელის ბიძა ალფონს ბრაგანცკი.

თუმცა წინათაც არ ეძინა და ტახტის ხელში ჩაგდების სურვილი მოსვენებას არ აძლევდა ალფონს ბრაგანცკის, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ უფრო ენერგიულათ შეუდგა საქმეს, იშოვნა მომხრეები, შეადგინა ჯარი და როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გვატყობინებენ, მას უკვე დაუჭერია პორტუგალიის ჩრდილოეთი ნაწილი.

მის წინააღმდეგ გაილაშქრა გენერალმა ალვარეცმა მფრინავ რაზმებით და ალფონსის ჯარს საგრძნობელი ზიანი მიაყენა. ასე რომ ის დღეს საშში არ არის, მაგრამ სამაგიეროთ თავი წამოჰყო, ისევ დონ მანუელმა, პორტუგალიის ყოფილმა მეფემ. როგორც მადრიდიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს იქ მისულა დონ მანუელი და ემზადება პორტუგალიაში წასასვლელათ, რადგან ზოგიერთების რჩევით ეხლა საუკეთესო მომენტია ტახტის ხელში ჩაგდების და მონარქიის ადდგენის. თვით პორტუგალიაში დიდი ამბებია მონარქისტები გაცხარებულ აგიტაციას ეწევიან. ხალხი მეტათ აღელვებულია. ამ დღეებში ბრბომ გაანადგურა მონარქიულ გაზეთების რამდენიმე რედაქცია. თუმცა გაზეთები აღარ გამოდის, მაგრამ სამაგიეროთ ჯარში და ხალხში აუარებელ მონარქიულ პროკლამაციებს ავრცელებენ. ამბობენ, რომ დონ-მანუელმა უკვე ნახა თავის მომხრეები.

ასე, რომ პორტუგალიის პოლიტიკურ ჰორიზონტზე უკვე ამოცურდა რეაქციის შავი ღრუბე

ლი და თანდათან დიდდება. შეიძლება ახლო მომავალში ევროპა კიდევ უარეს სისხლის ღვრის მოწამე გახდეს პორტუგალიაში.

—

ბეჭდვითი სიტყვის მოხელენი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინის ინიციატორობით, ზოგიერთ გუბერნატორებთან არსდება საგანგებო მოხელეთა თანამდებობა ამ მოხელეებს დაევალებათ სასტიკი თვალყური ადევნონ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს და თვეში ერთხელ თვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინონ ანგარი ადგილობრივი პრესის მოქმედების შესახებ.

—

საპროტესტო მიტინგები. იაპონიაში 24 სოციალისტს შეთქმულობის გამო სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ამის გამო ჟორესი, გედი და პრესსანე საპროტესტო მიტინგებს მართავენ საფრანგეთში.

მოწერილი ამბები.

(პროვინცია).

ჭიათურა. ამ ბოლო ხანებში ჭიათურაში ძალიან გახშირდა მკვლელობა. სულ ცოტა ხანში მოჰკლეს მოიჯარადრე ილიკო ბახტაძე, მრეწველი ვაწაძე, დასჭრეს ოფანა ჩიკაშუა, ამ დღეებში მოჰკლეს ნოქარი ვლადიმერ ლომაძე და სხვა. ქვენა აზრებით, პირად ინტერესებით გამსჭვალულნი, სინდის გარეცხილი ადამიანები არავითარ ბინძურ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ პირადათ თავიანთი მდგომარეობა გაიუმჯობესონ. ეს მხეცი ადამიანები ისე ჩაუყლაპავს სიცოცხლის სურვილს, რომ სხვის სიცოცხლეს ჩალად აღარ აფასებენ, ოღონდ თვითონ იცოცხლონ, ოღონდ თვითონ ჭქონდეთ სახრავი და მზათ არიან მთელი ხალხის სიცოცხლე შეიწირონ, მზათ არიან ყელი გამოღადრონ ყველას. ეს, ადამიანის სისხლის მსმელები, ეს ჭიათურელი კაენები არ სჯერდებიან თავიანთ მხეცურ მოქმედებას და მოუსპობენ თუ არა ვინმეს სიცოცხლეს ხმებს ავრცელებენ: ესა და ეს მუშებმა მოჰკლესო. ასე მოიქცენ, როცა მოჰკლეს ზემოჩამოთვლილი პირნი.* ასე მოიქცენ ეხლაც, როცა მოჰკლეს ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ვლადიმერ ლომაძე, მთი ქონ-გადაკრული გული ვერ აატოკა უმწეოთ დარჩენილმა მოხუცი დედის, ახალგაზრდა ცოლის და წვრილი შვილების საკოდაობამ.

ჩვენ, ქვემოთ ამაზე ხელის მომწერნი, საშინელ გულისწყრომას, უსაზღვრო ზიზღს და სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ჭიათურელ იმ კაენებს, რომლებიც ასეთ საზიზღარ მკვლელობას სჩადიან და სხვებს სდებენ ბრალს. ჩვენ ვაფასებთ სიცოცხლეს, სასტიკი წინააღმდეგი ვართ ყოველგვარ მკვლელობის და მით უმეტეს ასეთი საზიზღარის.

ჭიათურელი მუშები: 1) ი. ხუციშვილი, ვ. ბუროძე, ელიზბარ წულაძე, ალექსი ნაცვალაძე, კალენიკე ბერძენიშვილი, მიტო შთენილი, სოფრომ ჭეიშვილი, Т. Пеуковъ, ვლადიმერ ჯიბუტი, რომანოზ რამიშვილი, სავე თოდრია, სილოვან გოგუაძე, სერაონ კოპალეიშვილი, სარდიონ კაკაბაძე, მიშა წივწივაძე, პავლე პეტრიაშვილი, სიმონ ბყონია, სიმონ იმერლიშვილი, სიმონ კარელიძე, ყარამან ხუციშვილი, ვასო (გვარი ვერ გავარჩიეთ) კირილე სიხარულიძე. პორფილე ზაქარეიშვილი, ნატალია სიხარულიძე, ნიკო კაკაურიძე, ვანო მელიქაძე, რომანოზ გორდეზიანი, მიხაილ სვანიძე, დიმიტრი ჯაგნიძე, მიშა რუიშვილი, მაქსიმე კინწურაშვილი, პლატონ ასამბაძე, თედორე (გვარი ვერ გავარჩიეთ), ვარდენ მამაგეიშვილი, პავლე შუამბერაძე პორფილე (გვარი ვერ გავარჩიეთ), დათა ბარკალაია ადამ ძიძიშვილი, კ. ვაჩეიშვილი, ბიქტორ დოლიძე, ქრისტეფორე ჯულაყიძე, მიხა ნახუცრიშვილი, იონა ბელიაშვილი, გერმანე გაჩეჩილაძე, ლ. სიხარულიძე, ბიქტორ დოლიძე, ალექსანდრე კოტრიკაძე.

დაბეჯითებით ვსთხოვთ „ზაკავკაზიე“-ს და სხვა რუსულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

თეატრი

ჭიათურის თეატრი.

წელს ჩვენს სცენას სიცოცხლე დაეტყო, ამას ჭიათურის დრამატიულ საზოგადოებას უნდა უმადლოდეთ, რომლის ხელშიდაც არის დღეს თეატრი. (საზოგადოების დაარსებამდე აქაური სცენა მრეწველთა საბჭოს ხელში და ხარჯით იყო, ეხლა კი დრ. საზოგადოებას წლიურ დახმარებას აძლევს). დრამ. საზოგადოების უმთავრესი სიკეთე იმაში გამოიხატება, რომ მან მოიწვია ჭიათურის სცენაზე ადგილობრივ სცენის მოყვარეთა გარდა ორი არტისტიც, მათ შორის ახალგაზდა რეჟისორი—წუწუნავა. მკითხველებს ალბათ ახსოვს, რომ ბ. წუწუნავამ შარშან თბილისელები აალაპარაკა თავისი ნიჭით რეჟისორობაში, ისევე მოხდა აქაც ისეთი მხატვრულათ აწყობა დეკორაციებისა სცენაზე, ისეთი ხელოვნური გრიმიროვკა და ისეთი მწყობრი ანსაბლი წარმოდგენაში, როგორსაც ვხედავთ ჭიათურლები, წუწუნავას მოსვლის შემდეგ, მგონი აქაურებს კი არა და თბილისსა და ქუთაისშიდაც იმეზოდათ. ყველა ეს ასე იშვიათია დედა ქალაქებშიდაც და ამას ახერხებს პატივცემული ახალგაზდა რეჟისორი ჭიათურის ღარიბი სცენით და სცენის მოყვარეებით, რომლებსაც სცენისათვის მხოლოდ სამსახურის შემ-

დეგ სცალიათ. ყველა ამან კი გამოიწვია სცენის გამოცოცხლება, ასწია თეატრის ავტორიტეტი: თუ აქამდე ჭიათურის თეატრიც ნახევრათ ივსებოდა, დღეს ტევა აღარსად არის და არც ერთ სპეკტაკლზე ბილეთები აღარ იშოვება 6 საათის შემდეგ; მუშები მაინც გასაოცარ ინტერესს იჩენენ თეატრის მიმართ. ხშირად ისინი მოწინავე მუშას (კულტურულ-დაწესებულებებში მომუშავეს) ან ნაცნობ ინტელიგენტს საშველს არ აძლევენ თეატრის წინ: „გვიშველეთ, რამდენიმე კონტრამარკა მაინც გვიშონეთ“. მაგრამ ამაოთ, ყოველივე ეგ უნაყოფო ხდება, რადგან თეატრში ალაგი არ არის. ამ გარემოებამ უკვე აალაპარაკა გულშემატკივარნი და დაიბადა აზრი საკუთარი შენობის აგებისა თეატრისათვის, რადგან მოზრდილი შენობა საჭიროვებლათ არ შეიძლება ვიშონოთ. ვუსურვოთ წინსვლა სცენას და ენერგია გულშემატკივართ, რომ მომავალ წელს მაინც გვქონოდეს ფართო, მოწყობილი თეატრი. საჭიროა ინიციატივა და საშუალებაც გამოჩნდება. ჩემის ფიქრით ამისთვის უნდა შეერთდეს ყველა კულტურული დაწესებულებები და ერთათ იმოქმედონ. **სახალხო სახლის აშენებაზე თეატრით**, აი სამუშაო, დღეს, ჭიათურის ინტელიგენტებისათვის.

2 იანვარს, წარმოადგინეს გადმოთარგმნილი დრამა სამ მოქმედებათ „ბრეკალები“ ერვიესი. პიესა, როგორც მკითველებსაც ეხსომება, საინტერესოა, ეხება დღევანდელ ქორწინებას, ოჯახს. ტემა ძველთა-ძველი და ისევ ახლად ახალი.

ჩვეულებრივ კარგათ შეასრულა თავისი როლი ქ-ნმა ქილარჯიშვილმა (ირინე) განსაკუთრებით საუცხოვო იყო მეორე მოქმედებაში და მესამეს პირველ ნახევარში. საზოგადოთ საუცხოვოთ თავ დავიწყებით და გრძნობიერათ ატარებს ისეთს ადგილებს, სადაც სასოწარკვეთილება ან თავგანწირვა უნდა დახატოს. ზოგ პიესებში მან ასეთს დროს სავსებით შესძლო ხოლმე დაევიწყებია მაყურებელთათვის, რომ სცენას უყურებდენ და არა ნამდვილ დრამებს და მით იწვევდა ხოლმე ცხარე ცრემლს და შემდეგ აღფრთოვანებულ ტაშს. ასე გაიტაცა მან ამას წინად „უბედურ ნაბიჯში“ საზოგადოება და გამახსენა წარსული: უნებლიეთ ამოვიძახე „ქ-ნი გვეტაძე გაცოცხლებულა“-თქო. სამწუხაროთ ასევე ვერ დაგვიხატა მესამე მოქმედების მეორე ნახევარში ქმარზე გამარჯვებული ცოლი, რომელსაც ქმარი ათი წლის განმავლობაში თავის მოქმედებით, ეყრდნობა რა კანონებს, ფეხ ქვეშ უთელავს გრძნობებს და რომელიც დღეს ხედავს ქმრის ტანჯვას და მისი გრძნობების გათელვას ამავე კანონის შემწეობით. ამ მომენტში ის უნდა ბრწყინავდეს ირონიული გამომეტყველებით და ზევიდან ელაპარაკებოდეს კაცობრიობის წარმომადგენელს—ქმარს. ეს ვერ დახატა ღირსეულათ მან, რაც შეუნიშნავი არ დარჩათ მაყურებლებს. კარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ ქ-ნი ქილარჯიშვილი ეცდებოდეს შეიტანოს სხვა და სხვაობა ტიპებში. ერთგვარი მიმიკა, ერთგვარი მიხვრა-მოხვრა წარბებ-თვალებისა და სხვა ყველა ტიპებში, ყველა ეს ხელს უშლის მაყურებელს მოცილდეს ქილარჯიშვილს და გადავიდეს ოცნების მორევში. მე მრწამს რომ ქილარჯიშვილის ნიჭს შეუძლია ამის გასწორება.

გვარიანათ ჩაატარა თავისი როლი ბ. ანთელიძემ (ფერგან). გვარიანათ თქო ვამბობ მით უფრო, რომ ის შედარებით კარგი იყო დღეს, ვინემ სხვა დროს. სცენაზე დიდი ხანი არაა რაც გამოვიდა და ყოველ გამოსვლაზე ეტყობა უკეთესობა ჯერჯერობით მისგან მეტის მოთხოვნა არ შეგვიძლია საზოგადოთ, მაგრამ სრული უფლება გვაქვს მოვთხოვოთ როლების დასწავლა. ესევე თამამათ შეუძლია მისგან მოითხოვოს რეჟისორმა როგორც მასწავლებლისაგან (ისიც ხომ ასე სთხოვს ხოლმე მოსწავლეებს გაკვეთილის დასწავლას?). თუ თავი არა სუფლიორი მაინც შეიკოდოს.

ჩვეულებრივ სასიამოვნოთ თამაშობდა ბ. წუწუნავა (ვალანტონ) ის ხან გამოშვებ იღებს თითონ როლებს, მაგრამ როცა აიღებს, ისეთს შეფერებულს, რომ მარტო გამოჩენაც სცენაზე საზოგადოებას აღფრთოვანებაში მოიყვანს ხოლმე. ჭიათურლების ყურადღებას პირველათ იქცევს ისეთი თითქოს უბრალო როლები, რომლებსაც აირჩევს ხოლმე ბ. წუწუნავა, რომელიც მიმიკით უფრო თამაშობს, ვიდრე სიტყვებით, რასაც ხელს უწყობს ხოლმე საუცხოვოთ მოწყობილი გრიმიროვკა. იმისი თამაში სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს.

ქ-ნი ჩხეიძე (მარიამ) შეძლების დაგვარად ხელს უწყობდა ანსაბლს. სამწუხაროთ ეს ქალი ჯერ კიდევ ვერ მიეჩვია აგრეთვე მიმიკასა და მანერას, ორივეში არაბუნებრიობა. მას დაჩემებული აქვს ლაპარაკის დროს ტანის რხევა: რამდენ სიტყვას იტყვის, იმდენს წინ გადიხრება წელ-ზევით და ასე ქანაობს ლაპარაკის დროს. წინსვლა მასაც ეტყობა, თუმცა ნელი ნაბიჯით. საჭიროა მეტი შრომა.

გვარიანი იყო ბ. გაჩეჩილაძე (სტუდენტი დავერნიე). ეს ახალგაზრდა სუფლიორია (და ქებული სუფლიორიც), როლს კი მგონი მეორედ იღებს და ამიტომ ბევრი არაფერი გვეთქმის თორემ მინდოდა მეთქვა კარგი მომავალი უჩანს თქო.

დანარჩენ ჩვენ სცენათა-მოყვარეებზე ვიტყვი,

შემდეგში ხოლო ეხლა უნდა შევნიშნო რეჟისორს (თუმცა ვინ იცის, იქნებ არცაა იმის ბრალი), რომ გუშინდელი გრიმი ირინესი წინააღმდეგობა იყო პარიკისა და მისი თავგადასავალისაც: „ათი წლის ტანჯვამ თმაში თეთრი თუ გაურია, რატომ ერთი ხაზი ვეღარ დაასვა პირისახეზეო“-ო, „ამბობდენ პარტერში.

დრამის შემდეგ, თბილისიდან აქ სტუმრად მყოფმა სცენათა მოყვარეებმა (რუსებმა) ადგილობრივების დახმარებით წარმოადგინეს ჩეხოვის ცოდვილი „იუბილეი“ რუსულათ და საგანგებოთაც ჩაატარეს, რითაც ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება.

გამგეობის საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ წესრიგი ძალიან ირღვერა ხოლმე თეატრში მთვრალი კაცების შემოშვებით. ყველგან ასე იქცევიან: მთვრალს, თუნდაც ბილეთი ჰქონდეს, არ შემოუშვებენ და თუ შეეპარათ, გაიყვანებენ. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

ლ—ა

—

სახალხო სახლი.

12 იანვარს სახალხო სახლში სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს კონან-დოილის პიესა „შერლოკ ხოლმსი“. „ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“ ამ შემთხვევაში ჩვენ ვიტყვით რომ „ზოგჯერ არ თქმა სჯობს თქმასა“... მხოლოდ გავკადნიერდებით და ვიკითხავთ: ვისთვის ან რისთვის საჭირო იყო „შერლოკ ხოლმსი“?! საზოგადოთ პიესა უფერულათ დაიწყო და უფერულათ გათავდა. არა უშავდა მხოლოდ ფირუმიანს. ქ-ნ ჩერქეზიშვილის სისუსტე იმას უნდა მიეწეროს, რომ ის მოუმზადებლათ სხვის მაგიერ გამოვიდა სცენაზე.

ს—ტ.

მუშა შეეერიოვი

(არციბაშევიხა)

ამ დროს მივიდენ მასთან ზოგიერთები და უამბეს გალილეველების ამბავი, რომელთა სისხლი პილატემ მსხვერპლს შეურია.

იესო ქრისტემ ამაზე უპასუხა: თქვენ ფიქრობთ, რომ ის გალილეელები ყველა გალილეველებზე უფრო ცოდვილნი იყვნენ, რომ ასე დასაჯეს? არა, გეტყვით მე თქვენ: ხოლო თუ არ შეინანიეთ ყველანი ასე დაიღუპებით.

სახ. ლუკ. თავი 13.

საღამოს ჟამს, როდესაც ოთხ სართულიან სახლის კიბეზე ნელ-ნელა ჩამოწვა სიბნელე, ერთი ბინის კარებთან ვიღაცამ ზარს ჩამოჰკრა.

ძველ კარებს იქით, რომელსაც შიგნიდან ტილოს ნაჭრები ჰქონდა აკრული, გაჯავრებით ატირდა ძველი ზარი; ის დიდხანს არ მშვიდდებოდა ისე გულ საკლავი ხმით ზუოდა, როგორც ობობას ქსელში გახლართული მწერი.

კარებთან უძრავათ იდგა ვიღაც კაცი. ზარის ხმაზე არავინ არ გამოდიოდა. იქვე მის გარშემო დადიოდა გამხდარი კატა, მაგრამ უცნობი ისე გარინდებული იყო, რომ მან ვერც კი შეამჩნია ის. ამ დროს რომ მეორე ბინიდან გამოსულიყო ვინმე ამ შავი აჩრდილის დანახვაზე შეეშინდებოდა. პირველ შეხედვაზედვე ასე იფიქრებდა კაცი, რომ უცნობი რაღაც ცუდი განზრახვით იყო მოსული.

ეს ვებერთელა სახლი თავიდან ბოლომდე გატენილი იყო, ჭუჭყიანი, ავათმყოფი, მშიერი და ლოთი ხალხით. მთელ სახლში საშინელი მყრალი სუნი იდგა. ქვედა სართულიდან ბნელ კიბეზე გაძაბულიყო სიბინძურით გაჟღენთილი ბურუსი და ნელ ნელა, ჩუმათ მიიპარებოდა ზევით. მთელ სახლში და ეზოში გულის დამღონებელი სიბნელე და მყუდროება იყო გამეფებული.

ხან გამოშვებით სადღაც შორიდან მოისმოდა ტრამვაის ვაგონის ზარის ხმა და ეტლის რახრახი, ხანდახან სულ ქვემო სართულიდან, რომელიც ჯურღმულს წავავდა, ისმოდა ბრაზიანი ხმები. ყველაფერს რაღაც დიდი საიდუმლოების ბეჭედი ესვა. ასე გეგონებოდა თითქო თითოეულ კარს იქით რაღაც საშინელი საიდუმლოება იმალებოდა.

ბოლოს ქვემო სართულში ჭრიალით გაიღო კარები და ეს ხმა მთელ სართულს მოედვა. ვიღაც გარეთ გამოვიდა და ჩქარის ნაბიჯით ზემოთ წამოვიდა. როცა რამდენიმე ნაბიჯით ის დაუახლოვდა უცნობს, უცნობი შეინძრა.

— ვინ არის მანდ? უცბათ წამოიძახა ქვევიდან მომავალმა კაცმა და ამ დაძახებაში ეზომო შიში გამოიხატა.

— აქ იძლევა ოთახი?.. თქვენ არ იცით?— მკვახეთ და გადაჭრით შეეკითხა კარებთან მდგომი უცნობი.

— რა? ოთახი?.. არ ვიცი... მგონია უნდა იყოს. დარეკეთ ზარი.

— კარგი ხანია ვრეკ.

— ეჰ! ჩვენ ისეთ ზარგები გვაქვს, რომ სულ სხვაგვარათ უნდა დარეკოთ. აი!

ის მივიდა, მონახა სიბნელეში ზარის ხელი და ისე მაგრათ ჩამოჰკრა, რომ ზარმა ერთი საცოდავათ დაიხრიალა და გაჩუმდა. კარებს იქით მოისმა ფეხის ხმა. ცოტა ხანს შემდეგ ნახევრათ გაღებულ კარებში თავი გამოჰყო მოხუცმა დედაკაცმა.

— მაქსიმოვნა! აი ოთახს ჰკითხულობენ,— უთხრა ქვედა სართულიდან ამოსულმა გრძელმა, გამხდარმა სტუდენტმა და პირველი შევიდა კარებში. გაიარა დერეფანი და შევიდა თავის ოთახში. დერეფანში ისეთი მყრალი სუნი იდგა, რომ უჩვეულო ადამიანს სუნთქვა შეეხუთებოდა აქა იქ მიყრილ მოყრილი იყო ძველი ნივთები. სტუდენტს არ გაუგონია რა პასუხი მისცა მოხუცმა დედა კაცმა უცნობს. მხოლოდ მაშინ მოაგონდა, როცა ტანთ გაიხადა და მარტო, გლეხურ, წითელ პერანგის ამარა დარჩა შეეკითხა მოხუც დედაკაცს, რომელმაც ამ დროს სამოვარი შემოიტანა.

— მიეცით ოთახი მაქსიმოვნა?

— მადლობა ღმერთს, სერგეი ივანიჩ, მიეცი; მერე იცით რა ფასში? ექვს მანეთათ. ვგონებ წყნარი მდგმური უნდა იყოს.

— რატომ გგონიათ, რომ წყნარია?

მოხუცმა დედაკაცმა გაკვირვებით გადახედა, ჩაიცინა და უთხრა:

— მე, სერგეი ივანიჩ, სამოცდა ხუთი წელიწადია ქვეყანაზე ვსცხოვრობ და ყველაფერი მინახავს და გამომიცდია, ხალხის ნაყურები თითქმის დავბრმავდი კიდეც—სთქვა მოხუცმა დედაკაცმა და მწარეთ ჩაიცინა.

სტუდენტმა უნებურათ შეხედა მის დაბრმავებულ თვალებს, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა და როცა მოხუცი დედაკაცი წავიდა მივიდა უცნობის კარებთან და მიუკაკუნა.

— ეი, მეზობელო, არ გინდათ ჩაი ერთათ დავლიოთ? ა?

— სიამოვნებით!—მოისმა პასუხათ მკაცრი ხმა.

— მაშ, მობრძანდით აქეთ.

სტუდენტი მირჯდა სუფრას, დაასხა ორი ჭიქა თხელი ჩაი და კარებისკენ მიბრუნდა.

კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა ლამაზი სახის, ქერა ახალგაზრდა. რაღაც ისეთი არა ჩვეულებრივი შეხედულება ჰქონდა, რომ ასე ეგონებოდა კაცს თითქოს. თვითოეულ მისს მოძრაობას ძალდატანება ეტყობოდა.

— ნიკო შევერიოვი—მტკიცე ხმით წარმოსთქვა მან.

— ალადიევი—მიუგო მასპინძელმა, გაუღიმა და მაგრათ ხელი ჩამოართვა სტუმარს.

შეხედულობით ალადიევი პსკოვის ან ნოვგოროდის გლეხის ბიჭს მოგაგონებდათ. დიდრონი ფართო ხელები, ფართო, მაგარი ზურგი, გრძელი პირის სახე, თხელი წვერი და რგვალათ შეკრეჭილი თმა. ლაპარაკობდა ყრუ, ბოხი ხმით, ისე გადაჭრით, რომ ასე გეგონებოდათ ბოხი ხმით ფიქრობსო.

— დაბრძანდით, ჩაის შევექცეთ და თან ვიბაასოთ—მეგობრულათ უთხრა მან.

შევერიოვი დაჯდა, მისი ჭროღა, ლითონისებური თვალები ცივათ გამოიყურებოდენ იქ თვალებში იოტის ოდენა ცნობის მოყვარეობა არ იხატებოდა, როგორც სხვებს აქვთ ჩვეულებათ, როცა უცხო ოთახში არიან. ალადიევი უმზერდა შევერიოვს და ფიქრობდა, რომ ის თავის დღეში არ ულალატებს იმ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომელსაც მაგრათ გაედგა ფესვები მის გულში

,,ცნობის მოყვარე ყმაწვილია'' გაიფიქრა მან.

— თქვენ შორიდან მოსული ხართ?

— დღეს მოვედი ჰელსინგფორსიდან.

— სად არის თქვენი ნივთები?

— მე არავითარი ნივთები არა მაქვს, მარტო მხოლოდ საბანი, ბალიში და რამდენიმე წიგნი

უკანასკნელ სიტყვების დროს ალადიევმა რაღაც განსაკუთრებულ ყურადღებით და ალერსიანათ გადახედა სტუმარს.

— თუ საიდუმლოება არ არის... რა არის თქვენი ხელობა, რას აკეთებთ?

— საიდუმლოება არ არის... მე ხარატი ვარ. ქარხნის დახურვის გამო აქეთ წამოვედი, სამუშაოს საძებნელათ.

— მაშ, უმუშევარი ხართ?

— დიახ!—მიუგო შევერიოვმა და მის ხმაში რაღაც არა ჩვეულებრივი კილო გამოისმა.

— ბევრი ხალხი დადის უმუშევრათ. ძალიან ცუდი დრო დაგვიდგა. გიჭირთ თქვენ ეხლა?—თანაგრძნობით წარმოსთქვა ალადიევმა.

— მუდამ გასაჭირია—გულგრილათ უპასუხა შევერიოვმა—ჩქარა იმათაც გაუჭირდებათ, რომლებიც ეხლა არხეინათ არიან—დაუმატა მან მუქარის კილოთი.

ალადიევმა ცნობის მოყვარეობით გადახედა.

,,ეჰე! როგორც ეტყობა ეს სხვა ყმაწვილი უნდა იყოს, ეს საქმე უნდა განვიქიქოთ.. შეხედულობა საეჭვო აქვს, გაიფიქრა მან.

შევერიოვმა შენიშნა ალადიევის ცნობისმოყვარე თვალები, თავი ჩაღუნა, ჭიქაში ჩააშტერა. თვალები დიდ ნელა წარმოსთქვა—თქვენ სტუდენტი უნდა იყოთ. სწერთ კიდეც ვგონებ?

ალადიევი ცოტათი გაწითლდა

— რატომ ფიქრობთ ასე? რას უნდა ვსწერდე?

შევერიოვმა მოულოდნელათ გაიღიმა და ისე ალერსიანათ, რომ ვერავინ იფიქრებდა თუ ასე ამაყ შეხედულობის კაცს შეეძლო ასე გაღიმება

— ძნელი არ არის მაგის გაგება, კედლებზე თქვენ მწერლების სურათები გიკიდიათ, თაროზე

წიგნები გიწყვიათ, მაგიდაზე დაწერილი ქაღალდები გიდევთ, მაგიდის ქვეშ დახეული ქაღალდები ყრია. ყველა ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ რაღაცას სწერთ.

ალადიევს გაეცინა, მაგრამ უფრო ყურადღებით დაუწყო ცქერა სტუმარს. თვალები ეშმაკურათ აათამაშა, მაგრამ ეს ისე მოუხეშავათ და გლეხურათ მოუვიდა, რომ ყველა შეატყობდა ეშმაკობას.

— მართალია, ვსწერ... თქვენ, კი, როგორც გატყობთ დიდი დაკვირვებული კაცი უნდა იყოთ.

შევერიოვმა ხმა არ გასცა.

მეორე ოთახში ვიღაც დადიოდა, მისი ფეხის ხმა აშკარათ ისმოდა ალადიევის ოთახში. ალადიევმა მოუკკდა მსხვილ პაპიროზს, გააბოლა და თან ყურადღებით უმზერდა სტუმარს.

შევერიოვი იჯდა წელში გამართული, და ნელ ნელა თითებს ანძრევდა. მასში რაღაც არა ჩვეულებრივი ძალა გამოსჭვივოდა. ალადიევმა ეს ხელათ შენიშნა. მის თვალებს არ გამოეპარა მისი გაუნძრეველათ ჯდომა და თითების თამაში და რამდენსაც მეტს უმზერდა, უფრო და უფრო იზიდავდა. მისმა ამგვარმა მდგომარეობამ ის საბოლოოთ მოხიბლა და მისადმი უზომო პატივისცემა და სიმპატია აღუძრა გულში.

მან თვალები ოდნავ დახუჭა, თითქო ბოლის გამო და ორაზროვანათ წარმოსთქვა:

— დაკვირვება — ძვირფასი თვისებაა.

შევერიოვმა მაშინვე არ უპასუხა, მხოლოდ თითები უფრო ჩქარა აათამაშა. ასე ეგონებოდა კაცს თითქოს მას პასუხის მიცემა არც კი სურდა. მაგრამ უცბათ, მოულოდნელათ მან თავი მაღლა აიღო და წარმოსთქვა

— მესმის რის თქმაც გინდათ.

— როგორ?—ძალაუნებურათ თითქოს დაიბნა ალადიევი.

— თქვენ ცდილობთ გაიგოთ ჯაშუში ხომ არა ვარ... არა, დამშვიდდით. ასე არ შეიძლება... მე ხომ თქვენ ძალას არ გატანთ ილაპარაკოთ და არც ჩემის ნებით მოვსულვარ თქვენთან.

— აბა რა სათქმელია—დაიწყო ალადიევმა და ძალზე გაწითლდა.

შევერიოვმა გაიღიმა. როცა ის იღიმებოდა მის სახეს სულ სხვა შეხედულობა ჰქონდა, ნაზი, რბილი

— არა, რატომაც... ეს ჩვეულებრივი მოვლენა. მხოლოდ მე რომ ჯაშუში ვიყო თქვენ კითხვებზე ხელათ შეგატყობდით რისიც გეშინიათ.

ალადიევი ერთხან დარცხვენით უყურებდა, შემდეგ თავი შეიფხანა, გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

— დეე, ასე იყოს. დამნაშავე ვარ, რაღა დაგიმალო! თქვენ თვითონ იცით რა დროა ეხლა. . დასამალი კი მე არაფერი მაქვს.

— მე ვსთქვი ,,გეშინიათ'' მეთქი და თქვენ კი ამბობთ ,,დასამალი''-ო მაშ, როგორც სჩანს რაღაც უნდა იყოს.

შევერიოვმა გაიღიმა.

ალადიევმა თვალები დააქყიტა და დაფიქრდა

— დიახ, — ნელა წარმოსთქვა მან — მაპატიეთ და თქვენ დიდებული ჯაშუში იქნებოდით. შეგიძლიათ გაიგოთ ადამიანის სულიერი მდგომარეობა.

— შესაძლებელია—სერიოზულათ წარმოსთქვა შევეროვმა და ხმაში უკმაყოფილება დაეტყო — რასა სწერთ კიდევ? — შეეკითხა ის და აშკარათ დაეტყო, რომ ლაპარაკის ბანზე აგდება უნდოდა.

ალადიევი საშინლათ გაწითლდა, თითქოს და ნაშაულზე დაიჭირეს.

— მე? ისე... მე ხომ მხოლოდ ეხლა ვიწყებ მხოლოდ ორი მოთხრობა დავსტამბე... არა უშავს, აქებენ.

უკანასკნელი სიტყვები თითქოს გულგრილათ დაუმატა, ისე, რომ შევერიოვისთვის არც კი შეუხედავს, მაგრამ მის სიტყვებში აშკარად ისმოდა სიხარულის კილო

— ვიცი. წავიკითხე. მგონია გლეხთა ცხოვრებიდან სწერთ. მახსოვს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

(შემდეგი იქნება.)

ფოსტა

ნიჩბისა — ფ ო ტ ო ლ ს. ფრიად სამწუხარო მოვლენათ მიგვაჩნია რომ ეგრეთ წოდებულმა ,,პოეტურმა'' სენმა ფართე ნიადაგი მოიპოვა ჩვენს ბედკრულ საქართველოში დაიჯერეთ, მეგობარო, რომ პოეტობა და მჭადის გამოცხობა ერთი არ არის. აბა ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწამთ, (როგორც გატყობთ ღმერთი არ უნდა გწამდეთ, რომ ასე დაგვტანჯეთ) რასა ჰგავს თქვენი ლექსის ეს ადგილი:

დასავლეთიდან მთოვარე
ამოდიოდა მგლოვარე.

უბრალო სოფლის ბიჭს, რომ ჰკითხოთ ის აგიხნით: რომ მთოვარე და მზე დასავლეთიდან კი არა აღმოსავლეთიდან ამოდის.

ბბაშა — შ ა ვ დ ი ა ს. მივიღეთ თქვენი მოთხრობა ,,მღვდელი გაბრიელ კუნქულია და მისი ჯორი''. სიმართლე უნდა გითხრათ თქვენი მოთხრობის კითხვაში ნერვები აგვიშალა, მეტათ აგვაღელვა. განა შეიძლება, ყმაწვილო, ჩვენს დროში ასეთი

,,საშინელი'' მოთხრობის დაწერა?! მოთხრობა ბევრი წაგვიკითხავს, მაგრამ ისე მშვენივრათ დახატული, როგორც თქვენ საბრალო გაბრიელ და მისი ჯორი გაკვთ აწერილი ჯერ არსად შეგვხვედრია. ,,გაბრიელი დაბალი ტანის, მსუქანი მღვდელი იყო. მისი მუცელი ორმოცი ფუთი გამოვიდოდა (ამ ადგილის წაკითხვაზე თმა ყალყზე დაგვიდგა, თვალწინ წარმოგვიდგა ბაყბაყ მდევი), რაც ქვეყანაზე საკურთხი იყო ყველა მას ჩაეყლაპა (მოდი და ნუ შეგეშინდება ამ სიტყვების შემდეგ) პატარა თავი, გრძელი თმა, წვრილი თვალები, მისი ჯორი ძალიან გამხდარი იყო, კუდზე სამი ღერი ბალანი ჰქონდა, როცა გაბრიელ იჯდა ზედ, ფეხებს ძირს მიათრევდა, თუ ტალახი შეხვდებოდა ჯორი წაიქცეოდა, გაბრიელ გადმოვიდოდა ძირს, წამოიკიდებდა ზურგზე თავის ჯორს და გაიყვანდა მშრალზე და სხ. აუცილებლათ საჭიროა თქვენი პირადათ მოსვლა, რომ აგვიხსნათ—გაბრიელ ჯორი იყო თუ მღვდელი და რომელი მათგანი ასრულებდა ჯორის მოვალეობას და რომელი მღვდლისას, თქვენს ჩამოსვლამდე მოთხრობას ვერ დავბეჭდავთ.

ნგგოითი—ლ ე ნ გ ე რ ა ძ ე ს. მივიღეთ თქვენი ,,ფათრეთი'' და მოკითხვის ბარათები. ბოდიშს ვიხდით, რომ ვერ გაგიგია ჩვენი განცხადების შინაარსი. ჩვენ ჯერობით ვერ მოვათავსებთ იმ მწერლების ,,ფათრეთებს'' რომლებსაც ვეკსილები და მოკითხვის ბარათები უწერიათ—ამის შესახებ განცხადება შემდეგ იქნება. იწერებით: ,,ამას გარდა კიდევ ბევრი მაქვს ნაწერი, პეტრე ფშიკაძის ტირილზე სამას ორმოცდა ჩვიდმეტი წერილი დავსწერეო'' რა საჭიროა იმის მტკიცება, რომ თქვენ სხვაზე ნაკლები ღვაწლი არ მიგიძღვით ჩვენს ლიტერატურაში. ეს ყველამ კარგათ იცის, ვისაც თქვენი ნაწერები წაუკითხავს. სამწუხარო ის არის, რომ ჯერ ვერ მოვათავსებთ თქვენ ,,ფათრეთს''.

ს. ზურნაბადი—ბ ა ნ დ ა რ ი ა ნ ს. რაც შეეხება თქვენს პატივცემულ კორესპონდენციას, ბოდიშს ვიხდით, რომ ვერ ვბეჭდავთ. არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ სოფელში ქალების ჩხუბი ხშირი მოვლენაა ჩხუბობენ უმეტესათ ქათმების გულისთვის, რადგან მათთვის წარმოების უმთავრესი დარგი ქათმების მოშენებაა და ამ ნიადაგზე, რასაკვირველია, აუცილებელია ბრძოლა ეკონომიური. გვაკვირვებს მხოლოდ ერთი გარემოება რატომ უკბინა ცხვირზე თებრომ გაიინეს, ნუ თუ ესეც აღარ იცოდა, რომ ნათლისღება წინა დღით მარხვა იყო და ცხვირის კი არა, არაფრის ჭამა არ შეიძლებოდა?!

ხოხუმი—მ. ფ ა ნ ც უ ლ ა ი ა ს თქვენი მოთხრობა იმდენათ უხეირო'ა' (ნუ კი გვიწყენთ) რომ მეგრულათ კი არა კაი ქართული ენითაც რომ დაგეწერათ მაშინაც ვერას გაიგებდა კაცი. თქვენ იწერებით: ,,სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული მაბედვინებს მეგრული ენით დავსწეროო'' თქვენ თუ გგონიათ, რომ სიტყვა ,,სამშობლო'' ფართე მნიშვნელობით მარტო სამეგრელოს შეეხება და მარტო ეგრელებისთვის გინდათ თქვენი მოთხრობა, რაღა თფილისში გამოგზავნეთ თქვე დალოცვილო? ავიღებდით და ზუგდიდში ან ანაკლიაში გამოსცემდით მეგრულ ჟურნალს და დაბეჭდავდით! იმედია შემდეგში ასე მოიქცევით როცა მეგრულათ წერის ქავილი აგივარდეთ.

ჟურნალ ,,სალამური'' ს რედაქციასთან შეთანხმებით ,,მათრახ სალამური''-ს იმ ხელის მომწერლებს, რომლებსაც მთელი წლის ფული ჰქონდათ შემოტანილი ,,მაათრახ სალამური''-ს მაგიერ დანაკლისი ნომრები ეგზავნებათ ,,სალამური''.

,,მათრახ სალამურის'' რედაქცია.

იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

შემდეგი გამოცემანი:

1) ,,**ეშმაკის მათრახი**'' 1908 წლისა (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში—1 მან. 75 კ.; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება—50 კ.

2) ,,**მათრახ სალამური**'' 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი—იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) ,,**ეშმაკის მათრახი**'' 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი)—1 მ.; გაგზავნათ 1—20.

4) ,,**ალმანახები**'' 1909 წელში გამოცემული: ,,აკაკი'', ,,ეშმაკი'', ,,ჯოჯოხეთი'', ,,ეშმაკის მათრახი'' და ,,ტარტაროზი''. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

5) ,,**ქრისტინე**'' დრამა, ირეთელისა გაგზავნით 20 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან—ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

„შ რ ო მ ა“

რუსის ქუჩიდან გადავიდა მუხრანის ქუჩაზე № 12.

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.